ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

6 (10044) •18 Tebervali • 2014 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ა ლ ი ო ნ ი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ვის მიანიჭებენ საბიუჯეტო მომსახურების პრიორიტეტს?

გაზეთი „ალიონი“

ეს კითხვა მას შემდეგ დაგვებადა, როცა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს „ლიბერთი ბანკის“ კორპორაციული დირექტორის დავით ვერულაშვილის სტუმრობის შესახებ გავიგეთ.

დავით ვერულაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად გუბერნატორის მოადგილე მერაბ ჭანუყვაძემ მიიღო.

მერაბ ჭანუყვაძე:- იმის გამო, რომ გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე დღეს ადგილზე არ იმყოფებოდა, სტუმრები მე მივიღე. საუბრის თემა „ლიბერთი ბანკის“ შეთავაზება იყო. ეს ინიციატივა გურიის გუბერნატორიდან მოდის. რამდენიმე დღის წინ გურიაში მომქმედი ბანკის ფილიალების მმართველები ბატონ გიორგი ჩხაიძესთან იყვნენ თათბირზე. მათ გუბერნატორმა სთხოვა საბიუჯეტო მომსახურების შეთავაზებები წარმოედგინათ. პირველი „ლიბერთი ბანკი“ გამოგვეხმაურა. გვინდა ჩვენს მომსახურე ბანკს ყველა მუნიციპალიტეტში ჰქონდეს გამართული სერვისცენტრი.

როგორც გაზეთმა „ალიონმა“ დააზუსტა, წელს სამთავე მუნიციპალიტეტში ბანკების მიერ საბიუჯეტო მომსახურება არსებული კანონმდებლობის მიხედვით ხდება. მიმართვის შემთხვევაში განიხილავს თუ არა ახალი კონკურსის ჩატარების საკითხს მუნიციპალიტეტები, ამას უახლოეს ხანში გავიგებთ.

ბერლინში, მსოფლიო გამოფენაზე

ნუგზარ ასათიანი

5-7 თებერვალს, ქ. ბერლინში გაიმართა მსოფლიო ხილის დიდი გამოფენა, სადაც მსოფლიოს ყველა დასახლებული კონტინენტის 160 ქვეყანას შორის საქართველოს დროშაც ფრიალებდა. „იუსაიდის“–ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის დაფინანსებით, ბერლინში 4 კომპანია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: „ჯორჯიან მანდარინი,“ „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია,“ ჩაქვის გადამზიდავი სამაცივრო კომპანია და კიდევ ერთი ანალოგიური პროფილის კომპანია. თუმცა „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანიის“ დირექტორმა დავით სიხარულიძემ ობიექტური მიზეზის გამო ვერ მოახერხა ბერლინში გამგზავრება.

ამ გამოფენაში მონაწილეობდა აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, „იუსაიდის“ ტრენერი ვახტანგ გოლიაძე.

გასულ კვირაში ანასეულის ინსტიტუტში ვახტანგ გოლიაძე გამოფენის შესახებ ინფორმაციით ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა წინაშე წრსდგა.

ვახტანგ გოლიაძე–„ბერლინის ხილის მსოფლიო გამოფენა უდიდესია. განსაკუთრებით დიდ ფართობებზე იყვნენ წარმოდგენილი ჩინეთი და თურქეთი, რომელთა გამოფენას მათი ქვეყნის მთავრობები აფინანსებდნენ. ასევე განსაკუთრებულად იყვნენ წარმოდგენილი იტალიის და არგენტინის ხილის კომპანიები.

„იუსაიდი“ ეხმარება ქართულ სუბტროპიკულ კომპანიებს მსოფლიო არეალზე გასვლაში. მართალია ჩვენი პავილიონი მცირე მოცულობის იყო, მაგრამ სტუმრები არ აკლდა. ქართულ კომპანიებს საქმიანი წინადადებები შესთავაზეს რუსმა, უკრაინელმა, მოლდაველმა, აზერბაიჯანელმა, ფინელმა ბიზნესმენებმა.

ჩვენი პავილიონი აზიისა და აფრიკის ქვეყნების პავილიონებს შორის იყო მოქცეული და ვეცნობოდით, თუ როგორ აქვთ განვითარებული ხილის წარმოების ლოჯისტიკა, შეფუთვის სახეები ჩვენთვის თითქმის უცნობ ქვეყნებს.

გამოფენაზე ციტრუსის გარდა წარმოდგენილი იყო ვაშლი, ტროპიკული ხილი „მანგო,“ „ანანასი,“ „პაპაია,“ „ქოქოსი,“ „პურის ხის“ ნაყოფი და ა.შ.

გამოფენაზე ძალიან

გვ-2

როდის გვექნება გერბი და დროშა?

გაზეთი „ალიონი“



ამ საკითხის განხილვა ექსი წელია მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ოზურგეთის სიმბოლიკების დამდგენ კომისიას თავდაპირველად მიხეილ გოგოტიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ამჟამინდელი მოწვევის საკრებულოში, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ისტორიკოსი ავთანდილ მექვაბიშვილი ხელმძღვანელობს.

რამდენიმე განხილვაზე დაახლოებით 60-ზე მეტი ნიმუში იყო წარმოდგენილი.

გუშინ საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე მორიგი მოსმენა გაიმართა. ავთანდილ მექვაბიშვილმა ამჟამად არქიტექტორ თამაზ ლომჯარიას მიერ შექმნილი ნიმუშები წარმოადგინა, რომელსაც საქართველოს ჰერალდიკის საბჭო იწონებს.

ავთანდილ მექვაბიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ გერბისა და დროშის გარეშე საქართველოს ოთხი მუნიციპალიტეტია დარჩენილი, აქედან ორი გურიიდან: ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

მექვაბიშვილის თქმით, ამ ნიმუშებზე დაცულია ის მოთხოვნები, რასაც ჰერალდიკის საბჭო აყენებს.

გერბზე გამოსახულია ლეოპარდი, რომელიც იცავს თამარ მეფის მიერ აჭის ეკლესიისათვის ტრაპიზუნდის ლაშქრობისას გადაცემულ ჯვარს. გერბი მუნიციპალიტეტის მთასა და ზღვასაც ასახავს. ლურჯ-წითელ ფონს ზემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსატული, რაც გურიის სამთავროს გერბზეც იყო გამოსახული.

ისტორიკოსმა კახა ვასაძემ გამოთქვა აზრი, რომ ზღვის ამსახველი არა შავი, არამედ სხვა ფერი უნდა იყოს, რასაც ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილიც დეთანხმა. მისი აზრით, ლურჯ ფერს არა მარტო ზღვის ამსახველი, არამედ რელიგიური დატვირთვაც აქვს.

გამგებლის მოადგილე კოტე სარიშვილმა გერბზე ვაზის გამოსახვაზე გამოთქვა აზრი, ხოლო გიგა ხარაბაძემ ურჩია კომისიას, ფერების საკითხზე მხატვრებს დაეკითხონ.

დასვა კითხვა: –არჩევნების შემდეგ ვის განკარგულებაში იქნება გერბი? რაზედაც ავთანდილ მექვაბიშვილმა თქვა, რომ ქ. ოზურგეთს არჩევნების შემდეგ ახალ გერბზე მოუწევს მუშაობა.

საგაზაფხულო ხანძრები გახშირდა

13 თებერვალს, ღამით ხანძარი მძინვარებდა სოფ. დავბზუს ტერიტორიაზე, მდ. ნატანების მარჯვენა ნაპირზე. ხანძრის კერა რამდენიმე ადგილას იყო გაჩაღებული.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დვაბზუს ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის ვასილ ღლონტის ინფორმაციით, ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები მეხანძრეებთან ერთად ხანძრის ლიკვიდაციამდე ადგილზე იყვნენ. გვიმრისა და ბუჩქნარის გარდა მხოლოდ ერთი დაზიანებული ხე დაიწვა.

ოზურგეთის სახანძრო რაზმის უფროსის ვარდენ რუსიეშვილის თქმით, გაზაფხულის მოახლოებისთანავე იწყება ხანძრების სეზონი. მოსახლეობის გაუფრთხილებლობით იწვის ჩაის პლანტაციები, ტყე-ბუჩქნარები. 13-ში და მომდევნო დღეებში ხანძარი ბევრ ადგილას იყო. ანასეულში რამდენიმე ათეული ხეც დაიწვა.

16 თებერვალს სოფ. ნატანებში ერთ-ერთი სასაფლაოზე გაწმენდითი სამუშაოებისას დანთებული ცეცხლი ხანძრად გადაიქცა და დაახლოებით 10 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და ტყე-ბუჩქნარი დაიწვა. ოზურგეთის სახანძრო რაზმმა შეძლო მორიგი ხანძრის ჩაქრობა.

ვარდენ რუსიეშვილის აზრით, საჭიროა ხანძრის შემთხვევებს სათანადო შეფასებები მიეცეს სამართალდამცავი ორგანოებიდან და ხელისუფლებიდან..

7 დღის ამინდის პროგნოზი

18 თებერვალი	19 თებერვალი	20 თებერვალი	21 თებერვალი	22 თებერვალი	23 თებერვალი	24 თებერვალი
წვიმა	წვიმა	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი
+8+14	+6+11	+10+17	+11+18	+11+18	+11+15	+10+15
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი

ბერლინში, მსოფლიო გამოფენაზე

კარგად იყო წარმოდგენილი პოლონელები. ამ ქვეყანამ „იუსაიდის“ 5-მილიარდიანი დაფინანსებით, საოცარ წარმატებებს მიაღწია. დღეს იგი ევროპაში ლურჯი მოცვის ნერგების ყველაზე დიდი მწარმოებელია. ლურჯ მოცვის პროდუქციებს ასევე დიდი ადგილი ეკავა არგენტინელებისა და მოლდაველების საგამოფენო არეალში.

გარდა ხილის სახეობებისა, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დანადგარები, ხილის დამხარისხებელი, ტექნოლოგიური ხაზები, საშრობი დანადგარები, შეფუთვის სახეობები და ა.შ.“

ვახტანგ გოლიაძემ აღნიშნა, რომ მეზობელი თურქეთის რესპუბლიკა დიდ თანხებს ხარჯავს სუბტროპიკული ხილის რეკლამირებისათვის. გერმანიაში ბევრი თურქი ცხოვრობს და ბერლინში. ძალიან ბევრ ტაქსზე, რომლებსაც თურქი მძღოლები მართავენ, თურქული პოპულარული სერიალის „დიდებული საუკუნის“ გერმანელი და თურქი მთავარი გმირებია გამოსახული– ისინი თურქული მანდარინის რეკლამას განასახიერებენ.

ინსტიტუტის დირექტორმა თემურ რევიშვილმა აღნიშნა, რომ სუბტროპიკული დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს „იუსაიდის“ პროგრამები. მისი თქმით მათი ინსტიტუტის წარმომადგენელი მაისში, საფრანგეთში დიდ გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას.

დაფუძნდა სამოქალაქო დარბაზი

დაფუძნდა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის სამოქალაქო დარბაზი, რომელმაც სპიკერად აირჩია 1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი **ზაურ კოსტავა.**

არჩეული იქნა მრჩეველთა საბჭო: **რევაზ გობრონიძე** –ადვოკატი; **ლევან ქუთათელაძე** –ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **რუსუდან ტაკიძე** – სოფლის მეურნეობათა აკადემიური დოქტორი; **ჯაბა ჭეიშვილი** –საზოგადოება „ელკანას“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე; **რუსუდან მეგრელიშვილი** –პედაგოგი; **კარლო ჩიტაიშვილი; იამზე თოიძე** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **ლამზირა ბერაძე** – ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; **გივი სალუქვაძე** – სტუდენტი.

გისოსებს მიღმა ჩარჩენილი ფიქრები

ნინო ნიკოლაიშვილი

2014 წლის 12 თებერვალს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის დარბაზში გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ორგანიზებით, გაიმართა სპექტაკლი პირობითმსჯავდებულთა რესოციალიზაციის თემაზე "ნუთუ ეს არის ჩემი ბოლო?!". სპექტაკლი მომზადდა პროექტის ფარგლებში "ახალგაზრდა და არასრულწლოვანი პირობითმსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობა გურიის რეგიონში". პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი საქართველოს დემოკრატიულ განვითარების კავშირთან პარტნიორობით.

თეატრის დამდგმელი რეჟისორი გახლდათ კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვუილი, „მსახიობებთან ვახტანგ ჩხარტიშვილთან და თამარ მდინარაძესთან ერთად თეატრში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ეგრეთ წოდებული შავი სამყაროს ერთ-ერთი წარმომადგენელი მას შემდგომ, რაც უკვე მეხუთედ გახდა ბინადარი სასჯელაღსრულების სისტემისა, უკვე იწყებს ფიქრებს საკუთარ თავთან. მასში არსებული ორი პიროვნება ეპაექრება ერთმანეთს, ერთი, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს თავის გარემოს და ხშირადაც ხდება მისი გავლენის ქვეშ. მეორე – თითქოს იღვიძებს სინდისის ქენჯნა მის სულში, თითქოს გარკვეულ ადგილს იკავებს გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია და ამ ფონზე იშლება მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რომლითაც პერსონაჟი არღვევს ათი მცნების ყველა იმ პუნქტს, რაც ადამიანის (განურჩევლად რელიგიის, ეროვნერბის და ასაკისა) ცხოვრების კრიტერიუმებს უნდა განსაზღვრავდეს.

რამდენად არსებობს საზოგადოების მზაობა ამ ადამიანთან სწორად ურთიერთობებისა, ამ საკითხებზე გაიმართა დებატები. დებატებში ჩართული მაყურებელი თავად გახდა განმსახიერებელი იმ როლისა, რაც შექმნეს მსახიობებმა. ასეთი ორი „მსახიობი“ დარბაზში აღმოჩნდა თამთა დოლიძე და მარეხ მჟავანაძე. მათ წარმოადგინეს საკუთარი ხედვა მთავარ პერსონაჟთან ურთიერთობებისა. საინტერესო იყო მოსწავლეთა მიერ შექმნილი სახეები.

ორიგინალური გახლდათ ფორუმ-თეატრის ბოლო ეპიზოდი. პატიმრის კითხვაზე – ნუთუ ეს არის ჩემი ბოლო? – სხვა პერსონაჟები პასუხობენ – ეს არის, ეს! რითაც გამოაქვთ მკაცრი განაჩენი. ისინი არ უტოვებენ მთავარ პერსონაჟს მეორე გზას, რომელიც მის ეჭვებს გააქარწყლებს, მიუხედავად სპექტაკლის მიმდინარეობის დროს მათი მცირეოდენი მცდელობებისა.

თამარ ღლონტმა და ავთანდილ სირბილაშვილმა მადლობა გადაუხადეს მოზარდებს, ყველა იმ ადამიანს, რომელთა მცირეოდენი წვლილი მაინც იყო ამ პროექტის განხორციელებისა.

გაიზრდება თუ არა სასაფლაოების მოვლისთვის გადასახადი?

ოზურგეთის „სერვისცენტრის“ ხელმძღვანელმა ვოვა სალუქვაძემ განმარტა, რომ „სერვისცენტრი“ დიდი პასუხისნგებლობით ეკიდება ამ თემას და მიაჩნიათ, რომ სასაფლაოების ნორმალურად მოვლისათვის საჭიროა ქ. ოზურგეთის მოსახლეობამ ყოველთვიურად 2 ლარი გადაიხადოს. ეს თანხა საშუალებას მისცემს „სერვისცენტრის“ შესაბამის სამსახურს მოუარონ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლოებზე მისასვლელ გზებს, ცალკეული საფლავების მიმდებარე ტერიტორიებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ხაბალაშვილის აზრით, იმ შემთხვევაში თუ საკრებულო შესაბამის დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, აკრეფილი თანხა საკრებულოს ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს. ბიუჯეტი „სერვისცენტრს“ საჭირო თანხის 29 პროცენტს გადაურიცხავს.

საქართველოს დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძისა და იურისტ ირაკლი პაპავას აზრით, საკითხი აქტუალურია და ბუნებრივია მოსახლეობიდან კითხვები წამოვა. აქ მთავარი იურიდიული მხარეა, როგორ გადავიხადოთ ეს გადასახადი

სოფ. ბოხვაურის რწმუნებულის გია ჯიჯიეშვილის აზრით „სერვისცენტრის“ მომსახურება ბოხვაურის თემსაც უნდა შეეხოს. ასეთივე აზრი ნატანების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ამირან ბაქანიძემაც გამოთქვა, თუმცა საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის აზრით, ჯერ-ჯერობით ეს თემა ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზეა დასარეგულირებელი.. ამ საკითხს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხვალ სხდომაზე განიხილავს.

ვულოცავთ!

გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ ბედნიერებას ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის წარმატებულ პედაგოგს, სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს

ნ ა ნ ა ს ა რ ი შ ვ ი ლ ს.

ვუსურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს, იმედითა და რწმენით აღსავსე დღეებს.

უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს ახლადშექმნილ ოჯახს.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

დიალოგი ტოლერანტობის თემაზე

ნუგზარ ოთარიშვილი

დარბაზში მსხდომთაგან განსხვავებული აზრი გამოთქვეს ზოგიერთ თემებთან დაკავშირებით. მაგალითად არ გაიზიარეს აზრი, რომ „ქართველებს აფხაზეთის მიწების დაბრუნება უნდათ აფხაზების გარეშე.“ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, თბილისში 126 ათასი ჩინელის დასახლების და ზოგიერთ სხვა საკითხზე.

დისკუსიას ახალგაზრდების ჯგუფიც ესწრებოდა, რომლებიც დარბაზში მსხდომ უფროსი თაობის წარმომადგენლების გამოსვლას, რატომღაც სიცილით ხვდებოდნენ.

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში იურისტმა გიორგი მშვენიერიძემ (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა) და ლევან ღამბაშიძემ (ფილოსოფოსი, ილიას უნივერსიტეტი) დისკრიმინაციის აკრძალვის, ტოლერანტობის, სეკულარიზმის, სახელმწიფოს მართვის საკითხებზე დისკუსია გამართეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლებთან, საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებთან.

გიორგი მშვენიერიძემ თავის გამოსვლაში ერთმანეთს შეადარა ადოლფ ჰიტლერი (რომელმაც ჩაძირა ის გემები, რომლებზეც ჰომოსექსუალები იყვნენ, სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა ბოშები და გაზის კამერებში გაანადგურა 6 მილიონამდე ებრაელი) და იოსებ სტალინი, რომელმაც არანაკლები სადამსჯელო ოპერაციები ჩაატარა. გასული საუკუნის 30-იან წლებში უკრაინაში შიმშილისაგან 8 მილიონი ადამიანი დაიღუპა. მან ამ კონტექსტში ეროვნული უმცირესობების და ლგბტ პირების მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება. ასევე ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებში დავით აღმაშენებლის რუისურბნისის კრება გაიხსენა.

–ეკლესია არ უნდა ერეოდეს სახელმწიფოს საქმეებში. მაგალითად, ქ. ფოთში ჩემი თვალით ვნახე ეკლესიის წინ კედლებზე „5“-იანები როგორ ჰქონდათ გაკრული...ეს აზრი ანა იორაშვილმა გამოთქვა.

აზრთა სხვადასხვაობამ უფრო საინტერესო გახადა დისკუსია, რომელშიც შემდეგ ლევან ღამბაშიძეც ჩაერთო, მან მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ისაუბრა.

საბოლოოდ სტუმარ-მასპინძლებმა ეს შეხვედრა საინტერესოდ ჩათვალეს.

ახლა „საზღვრისპირა“ ტერიტორიებზე სხვა რეალობაა

ნუგზარ ასათიანი

ამ რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლში, სოფ. მეჯვრისხევში ვიყავით. იგი გორიდან 20 კილომეტრში, სამაჩაბლოს საზღვართან მდებარეობს.

მეჯვრისხევს ბოლოს დაახლოებით 15 წლის წინ ვესტუმრეთ, უსანეთობის დღესასწაულზე. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა, აქაურები მეზობელ ოსებთან ურთიერთობდნენ და არც თუ იშვიათი იყო ეს შეხვედრები.

მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ბევრი რამ შეცვალა ამ ურთიერთობებში. ახლა „საზღვრისპირა“ ტერიტორიებზე სხვა რეალობაა. გზაზე დევნილთა დასახლებაა. შიდა ქართლის ყველაზე დიდ სოფელში, სადაც 15-მდე ტაძარი და უძველესი ტაძრის ნანგრევები დგას, სადაც ყოველწლიურად ქართველები, ქრისტიანი ოსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთად აღნიშნავდნენ სხვადასხვა დღესასწაულს, დღეს დაღვრემილ სახეებს ხვდები. სოფელს მდინარე მეჯუდა ჩამოუდის, მაგრამ აქაურების ბაღვენახის სარწყავი ტირიფონის არხი იყო. ჩრდილოეთიდან სოფელს წყალი გადაუკეტეს, მორწყვის გარეშე აქ მოსავალს ვერ მიიღებ. სოფელი 11 უბნად იყოფა და მარტო ერთი უბნიდან „ქაცხურადან“, რომლის საძოვრებიც ე.წ. საზღვრის გვერდით მდებარეობს, შარშან შემოდგომაზე წაასხეს 120 სული ცხვარი და ძროხა. მწყემსებსაც მოუწიათ ცხინვალის იზოლატორში ყურყუტი. ერთ-ერთი რუს „მესაზღვრეებს“ გაექცა... საუბრობენ აქაურები.

ამ სოფელს ბევრჯერ უნახავს ომი. 1605 წელს აქ ზაფხულად მდგომი ქართლის მეფე გიორგი X გარდაიცვალა. მეჯვრისხევთან რამდენჯერმე გამართულა ომი. XVIII საუკუნეში ლეკებთან ბრძოლაში დაღუპულა გორის ფაშა. მხოლოდ ძლიერ ქართველ ფეოდალს გივი ამილახვარს ქართველთა ლაშქრით უძლევია მტერი და ამ კუთხეში სიმშვიდე დამყარებულა.

ჩვენ მეჯვრისხევში ერთ-ერთი ამ სოფლელის ვალერიან რაზმაძის დაკრძალვაზე ვიყავით. რაზმაძეების ოჯახმაც იწვნია 2008 წლის ომის სიმწარე. უფროსებს სოფელი არ დაუტოვებიათ. სოფელში როკის გვირაბის გვერდის ავლით, უღელტეხილიდან გადმოვიდნენ ბოევიკები. როგორც გვითხრეს, მათი მეზობელი, სოფელი ღრომიდან ოსები გადამთიელებისაგან იცავდნენ სოფელში ჩარჩენილ მოხუცებს.

წმ. ღვთისმშობლის, წმ. გიორგის, კვირაცხოვლობის, უსანეთის და სხვა ტაძრები წარსულის ფესვებში გვაბრუნებს. ამჯერად ახალ „სასაზღვრო“ რეალობაში, „იქეთ“ დარჩენილ მიწებში სოლივით შეჭრილ გორაკზე ავდივართ. გორაკის თავზე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დგას, რომელიც 1991 წელს მომხდარ მიწისძვრას დაუნგრევია. თუმცა მალევე აღუდგენიათ და აქედან გადაჰყურებს სამაჩაბლოს წართმეულ მიწებს. ეკლესიის გარშემო უძველესი საფლავებია. ჩვენ ვარჩევთ XVIII-XIX საუკუნის წარწერებს. ერთ-ერთ გვიანდელი ხანის საფლავზე ვკითხულობთ:„ ამ საფლავ ქვეშ მდებარე სალ მე სახელ დებული/ ვართულა შვლის მეუღლე ქმარ შვილთაგან დატევებული/ ოცდ შვიდის წლს ნაზარდი სიკვდილით გამწარებული/ შენდობასა გთხვ ყოველთა აწ სრულად გამტურებული.

ჩემც წელსა ივნისის პირველს დღსა გარდავიცვალე აზნაურის სვმნ მეღვნეთხუცი შვლის ასული აზნაურ ელაზარ თულაევსა.“

– გაღმა გაიხედეთ –გვეუბნება რაზმაძეების სიძე, წინანდლელი ნიკა ნიკოლაიშვილი. გაღმა პატარა ტყიანი ადგილი რომ არის, იქ წმ. გიორგის ნიშია და „ლომისობას“ მეჯვრისხევლები ლოცულობდნენ. ახლა ეს ტერიტორია „საზღვრის“ იქეთაა. მავთულხლართებით სხვა სალოცავებსაც დაგვაშორებს. ამ ეკლესიის გადაღმა ჩვენი წინაპრების (დედით ბიბილაშვილები) საფლავებია. ვინ იცის, სად გაავლებენ რუსები მავთულხლართებს.

ღვთისმშობლის ტაძრის გადასახედიდან მარჯვნივ, ქვემოთ ოსების სოფელი ღრომია, უფრო შორს რუსების მიერ საგულდაგულოდ შემოღობილი სამხედრო ბაზა.



–ღრომელებს ახლაც უნდათ მეჯვრისხევში გადმოსვლა, თუნდაც სოფლის მაღაზიაში მისვლა, მაგრამ რამდენიმე ოჯახია, რომლებიც ჯაშუშობენ და დე ფაქტო ოსეთის სპეც. სამსახურებს ატყობინებენ „დაუმარჩილებელთა“ გვარებს. ღრომის გვერდით (სულ რამდენიმე ათეული მეტრი აცილებს) ბიბილიშვილების უბანია. მერამდენე თაობაა, ერთმანეთის ჭირს და ლხინს რომ იზიარებდნენ, მაგრამ...

როცა ეკლესიის შესასვლელს ვეამბორეთ და ქვემოთ დავეშვით, გამიჩნდა კითხვა: –როდის დადგება სამართლიანობის დრო. ამ ომმა ხომ ორთავე სოფელი დააზარალა. რათ უნდათ მავთულხლართები. მათ ხომ პოლიტიკოსებზე უკეთ იციან, ერთმანეთისკენ სავალი გზები ....

სოფლის ცენტრში კვლავ დგას იოსებ სტალინის ძეგლი, რომლის მმართველობის პერიოდს უკავშირდება ავტონომიების შექმნა და რომლის ნაყოფსაც დღეს მწარედ ვიმკით.

ქოხ-სამკითხველოდან ბიბლიოთეკამდე

1924 წელს ქალაქ ოზურგეთში გაიხსნა ქოხ- სამკითხველო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და იგი ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკად იქცა, რომელიც საკმაოდ დიდი წიგნის ფონდითაა ცნობილი. ბიბლიოთეკაში რამდენიმე განყოფილებაა: საბავშვო, მომსახურების, გაცვლითი ფონდის, დაკომპლექტების, საცნობო-საინფორმაციო... თითოეული განყოფილება რამდენიმე ასეულ წიგნს ინახავს, მაგალითად, მომსახურების განყოფილება 32000 წიგნს ითვლის, საბავშვო - 12000-ს. როგოროც გაირკვა, ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში, ცენტრალიზაციის წესიდან გამომდინარე, წიგნებით თბილისიდან მარაგდებოდა. დედაქალაქიდან იგზავნებოდა წიგნები, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, თუმცა, დღესდღეობით ეს პროცესი შეჩერებულია, ბიბლიოთეკა თავისი ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხას და თავად ზრუნავს წიგნის ფონდის გაზრდაზე. ადმინისტრაცია დაკავშირებულია წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსთან“. თანამშრომლები არჩევენ წიგნებს და, მკითხველის გემოვნებიდან გამომდინარე, ყიდულობენ იმას, რაზეც ძირითადად არის მოთხოვნა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დღეს 16 ადამიანი არის დასაქმებული.

როგორც თანამშრომლები ამბობენ, მკითხველთა სიმცირე ოზუგეთის ბიბლიოთეკაში ნამდვილად არ იგრძნობა, პირიქით, ხალხი სისტემატიურად სტუმრობს მას. „ყველა ასაკის ადამიანი მოდის ჩენთან, თუმცა ძირითადად მაინც სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები,“ - გვითხრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა. როგორც სავარაუდო იყო, ძირითადად მოთხოვნა მაინც მხატვრულ ლიტერატურაზეა, თუმცა, ასევე პოპულარულია სასწავლო ლიტერატურა და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებითაც მოსწავლეები და სტუდენტები სარგებლობენ. მკითხველს შესაძლებლობა აქვს, წაიკითხოს წიგნი სამკითხველო დარბაზში. ასევე მკითხველს შეუძლია, გაიტანოს წიგნი ბიბლიოთეკიდან 2 კვირის განმავლობაში. როგორც აღმოჩნდა, არიან ურჩი მკითხველებიც, რომლებიც დროულად არ აბრუნებენ წიგნს, ასეთ შემთხვევაში თანამშრომლები ურეკავენ მას, საჭიროების შემთხვევაში კი იძულებულნი არიან, სახლშიც მიაკითხონ და თავად წამოიღონ წიგნი, თუმცა, როგორც თანამშრომლები ამბობენ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ შემცირებულია და ამ კუთხით მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესებულია...

საინტერესო იყო ფილიალების საკითხიც, დროთა განმავლობაში სოფლებში ბიბლიოთეკები გაუქმდა და ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, თუმცა, დღეს ცენტრალურ ბიბლიოთეკას 10 აღდგენილი ფილიალი აქვს სოფლებში, მათ შორისაა შრომა, შემოქმედი, ლიხაური, მერია და სხვა... რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ცენტრალური და კიდევ რამდენიმე სოფლის ბიბლიოთეკა შვეიცარიისა და პოლონეთის მხარდაჭერით აღიჭურვა საჭირო ტექნიკით. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი კომპიუტერების ოთახი, სადაც ნებისმიერ მკითხველს საშუალება აქვს, ისარგებლოს ინტერნეტით. თანამშრომლების თქმით, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო შენობის სახურავი, ჩამოდიოდა წყალი, თუმცა, გამგეობის დახმარებით ეს პრობლემა მოგვარდა და კაპიტალურად დაიხურა ბიბლიოთეკა, ახლა კი მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები შენობის შიგნით.

როგორც აღმოჩნდა, ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, ასევე თანამშრომლებს აქვთ გასვლითი შეხვედრები ანასეულის ხანდაზმულთა სახლში, ასევე შშმ ბავშვებთან... ხოლო ყოველი შაბათი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის „კითხვის დღე“, მკითხველები მოდიან და თემატურად ხმამაღლა კითხულობენ წიგნებს. ბიბლიოთეკაში კიდევ არაერთი ღონისძება იგეგმება.

ხატია ჭანიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მესამე კურსის სტუდენტი

დაბა ურეკში ქეთევან ლოსაბერიძის სახელობის მშვილდოსნობის ოლიმპიური ბაზა გაიხსნება

ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სერგო გათიკაევმა და ვიცე-პრეზიდენტმა რომან ლელაძემ უთხრეს.

მათი თქმით საქართველოს სპორტის ამ სახეობაში კარგი ტრადიციები ჰქონდა, რასაც მოწმობს ქეთევან ლოსაბერიძის ოლიმპიური ჯილდო. ამჯერად სპორტის მესვეურები კვლავ აპირებენ სპორტის ამ დარგის აღორძინებას.

დაბა ურეკში ოლიმპიური ბაზა გაიხსნება, სადაც აპრილში საქართველოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს.

სერგო გათიკაევი და რომან ლოლაძე ამ თემაზე სასაუბროდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

ვერცხლის ლანგარი ურეკიდან



ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულ კოლექციებში განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ლანგარი ურეკიდან.

ლანგარი აღმოჩენილი იქნა შემთხვევით 1948 წლის 22 ნოემბერს ურეკში-- „საქმაგნეტიტის“ ტერიტორიაზე ბულდოზერის მუშაობის დროს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, იგი მდიდრული სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა, მასთან ერთად აღმოჩენილი იქნა ვერცხლის რამოდენიმე ნივთი. ლანგარი მუზეუმს იმავე წელს გადასცა ბულდოზერის მძღოლმა ანატოლი შუმილოვმა.

არქეოლოგთა მიერ ლანგარი თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისით. იგი ამ პერიოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (არმაზის ხევი, ზღუდერი, კლდეთი, ურეკი, ციხისძირი) აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭლის ერთ-ერთი საყურადღებო ნივთია.

ურეკის ლანგარი საკმაოდ დიდი ზომისაა, მისი დიამეტრი 42 სმ-ია.ბრტყელძირიანი, ფართო გადაკეცილი ნაპირით, ლანგრის შუაგულში მოთავსებულია რელიეფური ორნამენტული მედალიონი, რომლის მთავარი დეკორატიული მოტივია დიდი რვაქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც შედგენილია ნატიფი მოხაზულობის ორი ოთკუთხედის ურთიერთგადაკვეთით. ვარსკვლავის შუაგულში პატარა რვაწახნაგა არეზე თორმეტფურცლიანი რელიეფული ვარდულია მოთავსებული. ქიმებს შორის დარჩენილ სამკუთხა არეებზე განლაგებულია რელიეფურად ამოწეული „მანები“ . მედალიონი ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, .რომელიც სამი ზოლისაგან შედგება. ლანგრის საერთო დეკორაციულ კომპოზიციაში მეორე მნიშვნელოვანი ნაწილია ფართო არშია. იგი შედგება მრავალგზის განმეორებული აჟურული ელემენტისაგან. ცენტრალური მედალიონი და აჟურული არშია ლანგარს საზეიმო მდიდრულ ელფერს აძლევს.

ხელოვნებათმცოდნე კიტი მაჩაბელის აზრით: „ურეკის ვერცხლის ლანგარი თავისი ხასიათით და ტექნიკური თვისებებით გვიან ანტიკური ვერცხლის ჭურჭლის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ვერცხლის დიდი ლანგრები დაბალი რელიეფით შესრულებული ორნამენტით, გადაკეცილი ფართო ნაპირით განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ახ.წ.III საუკუნიდან... ურეკის ლანგრის მედალიონის შესრულების სინატიფე მაღალი ოსტატობის მანიშნებელია, ორნამენტის ზუსტ ნახატში, ტექნიკის სიწმინდეში უაღრესად გაწაფული ოსტატის ხელი იგრძნობა. ამოჭრა და გრავირება ამ პერიოდის ვერცხლის ჭურჭლის მორთვის ძირითად მხატვრულ ხერხად იქცა... ძალზედ თავისებურად დამუშავებული არშია ერთგვარი გამონაკლისია ჩვენთვის ცნობილ გვიან ანტიკურ ნაკეთობათა შორის, ნაპირგადაკეცილი დიდი ლანგრები ჩვენი წელთაღრიცხვის ტორევტიკის ტიპიური ნაწარმოებია... ურეკის ლანგარი ყველაზე ახლოა ვერცხლის ლანგართან ანტიოქიიდან. რაც მეცნიერებს შესაძლებლობას აძლევს, ურეკის ლანგრის დათარიღება IV საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლოს. მსგავსი ლანგრები აღმოჩენილია: გერმანიაში, შოტლანდიაში, ბრიტანეთში, სირიაში, კართაგენში. ზოგიერთ მათგანს მკვლევარები მიიჩნევენ ადგილობრივ ნაწარმად, რაც ერთგვარად ართულებს ურეკის ლანგრის შექმნის ადგილის განსაზღვრას, რადგან ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებში სავაჭრო და კულტურულ მიმოქცევაში შედიოდა არა მარტო რომისა და იტალიის სახელოსნოთა ნაწარმი, არამედ რომის პროვინციისა და სხვა ქვეყნების მხატვრული ნაკეთობანი. ამდენად მეცნიერთა აზრით, გვიანანტიკური ტორევტიკის საგანძური არცთუ ისე მდიდარია მსგავსი ლანგრებით. ამიტომ ურეკის ლანგარი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეთა ვერცხლის ჭურჭლის მნიშვნელოვანი ჭურჭელია, რომელიც თავისი ხასიათით, მხატვრული ღირებულებით გვიანანტიკური ეპოქის ვერცხლის ნაკეთობათა რიგს უნდა მიეკუთვნოს“.

დღეს ურეკის ვერცხლის ლანგარი, საინვენტარო ნომრით 377, გამოფენილია მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში და მისი ნახვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის
ფონდების მცველი

მირიან გიორგაძის სახელობის ტურნირზე

ქ. თერჯოლაში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონის მირიან გიორგაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს 24 ქალაქისა და რაიონის ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები.

ოზურგეთის ნაკრებიდან 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის 29 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გიორგი თოხაძე გახდა.

ჭაბუკთა შორის (1998-2000 წ.წ.) 47 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი გიორგი ჩხაიძემ დაიკავა, მან ფინალში თანაგუნდელს ვანო თოხაძეს სძლია.ვანომ II ადგილი დაიკავა.

66 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დავით ბაკურაძემ დაიკავა, ხოლო 73 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ურუშაძე II იყო.

გუნდი მოამზადეს კობა ბალავინოვმა და ძმებმა ზურაბიანებმა.

ტურნირი სოფელ შრომაში

სოფელ შრომაში ჩატარდა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული კაცის, შაქრო ტუღუშის ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში.

2003-05 წლებში დაბადებულთა შორის 23, 26, 29, 32, 38 42, 47, 53 კგ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: გიორგი მიქაუტაძე (სოფ. შრომა), ავთო მამალაძე (სოფ. ლიხაური), სერგო სარქისიანი, ვასილ ფუტკარაძე, შოთა მუკუტაძე (სამთავე სოფ. შრომა), ნიკა შიუკაშვილი (ქ. ოზურგეთი), რევაზ კუტალაძე (სოფ. შრომა), ლაშა ბაჯელიძე (სოფ. თხინვალი), ცოტნე ცინცაძე (ქ. ოზურგეთი).

2000-02 წლებში დაბადებულთა შორის 35, 38, 42, 47, 53, 59, 63, 66, 73, 85კგ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ლევან ბოლქვაძე, (სოფ შრომა), ლუკა ღელეყვა (სოფ. ლიხაური), გიორგი შოთაძე (ქ. ლანჩხუთი), რატი წიკლაური (ქ. ოზურგეთი), ლუკა ზაქარიაძე (სოფ. ლიხაური), გიგა დიასამიძე (სოფ. ოზურგეთი), ომარ სირაძე (სოფ. თხინვალი), დათო იმნაძე, გიორგი ზოიძე (ორთავე ლანჩხუთი), კუკური ბარბაქაძე (სოფ. შრომა).

ჩემპიონებს და პრიზიორებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები.

ღონისძიება დააფინანსა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებისთვის თანადგომა გასწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა სოფელ შრომაში ქ-ნმა მაყვალა დარჩიამ.

გურულ მოჭადრაკეთა რეიტინგები

გურიის ჭადრაკის ფედერაცია ყოველი წლის დასაწყისში ტრადიციულად აჯამებს გურული მოჭადრაკეების საჭადრაკო ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგებს, რაც თითოეულ მოჭადრაკეზე ინდივიდუალური რეიტინგის გაანგარიშებით ხორციელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბაზო მაჩვენებლად აიღება მათ მიერ ბოლო ორ წლის გამავლობაში ცალკეულ ოფიციალურ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგები. გაანგარიშება ხდება ფიდეს მეთოდიკით და იგი იძლევა მოჭადრაკის კვალიფიკაციის შეფასების შესაძლებლობას.

ქვემოთ გთავაზობთ გურიის ჭადრაკის ფედერაციაში რეგისტრირებულ „აქტიურად“წოდებულ 112 მოჭადრაკიდან, ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე 15 საუკეთესოს. აქვე შევნიშნავთ, რომ „აქტიურად“ითვლება ის მოჭადრაკე, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ მაინც აქვს მონაწილეობა მიღებული ოფიციალურ შეჯიბრებებში.

1. **დავით ცეცხლაძე,** ოზურგეთი – 2012
2. **გიორგი გოგოლაური,** ოზურგეთი – 2008
3. **გივი ქორიძე,** ჩოხატაური – 2002
4. **ადამ ხუხუნაიშვილი,** ლანჩხუთი –1986
5. **დავით კილურაძე,** ოზურგეთი – 1980
6. **ნუგზარ გვარჯალაძე,** ლანჩხუთი – 1976
7. **ელგუჯა ურუშაძე,** ოზურგეთი –1970
8. **ტარიელ ხუხუნაიშვილი,** ლანჩხუთი – 1956
9. **კარლო ცხომელიძე,** ჩოხატაური –1948
10. **ზეინაბ ხვედელიძე,** ჩოხატაური – 1946
11. **გიგა ქუტიძე,** ოზურგეთი –1942
12. **გივი სიამაშვილი,** ოზურგეთი –1940
13. **სერგო წილოსანი,** ლანჩხუთი –1932
14. **აკაკი გოგუა,** ოზურგეთი –1930
15. **მიშიკო ქურიძე,** ოზურგეთი –1924.

გია გორგაძე პირველი იყო.

ქ. ქობულეთში ჩატარდა გურამ ჩელებაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილმა გია გორგაძემ 58 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

შრომელი მოფარიკავეების წარმატება

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ფარიკაობაში 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდი სამი სპორტსმენით.

ეს სექცია შრომის საჯარო სკოლაშია გახსნილი და მას მალხაზ კვაჭაძე ხელმძღვანელობს. შრომელმა მოფარიკავებმა უკვე დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი ქართულ საფარიკაო სკოლაში.

ამჯერად „დაშნაში“ გელა მჟავიამ მეორე ადგილი დაიკავა. გიორგი კვაჭაძე მერვე იყო, ხოლო გოგონებს შორის თეა კვაჭაძე მეექვსე ადგილზე გავიდა.

ამიკო ჰეშკოვის მონატრება

ჩემო ამიკო! ჩემო საყვარელო დისშვილო!

ერთი წელი გავიდა იმ საზარელი დღიდან, როცა ქალაქის შუაგულში, შემზარავი მკვლელობის გაგების გამო, თავზარდაცემული, გაოგნებული, შოკირებული აღმოვჩნდი.თ. მას შემდეგ შენი ოჯახის წევრებისთვის ყოველი დღე, შენი მონატრებით, ტკივილით, ცრემლით იწყება და მთავრდება. შენ ერთი ლამაზი სიცოცხლე იყავი, ათას სხვას რომ ულამაზებდი ცხოვრებას. შენ იყავი ნამდვილი ვაჟკაცი, რაინდი, საუკეთესო მეგობარი, ძმაკაცი, ნათესავი. ღირსეული ახალგაზრდა, სხვათა ღირსების დამცველი, რასაც შეეწირა შენი მომავალი. შენი ოჯახის წევრები, უშენობით გამწარებულნი ცხოვრებას იმ იმედით მიჰყვებიან, რომ სამუდამო სასუფეველს უფალი შენთან დაუმკვიდრებს, თორემ უღირთ კი ამქვეყნად ყოფნა?! ნაკლებად. მაგრამ რას ვიზამთ. ასეთია ცხოვრება. უფლის ნებაა ყველაფერი.

გვენატრები, გვიყვარხარ, გვაკლიხარ.

შენი დეიდა

შვილები ანზორი, ცირა; ძმა პავლე, დები მერი, დარიკო, სვეტლანა; რძალი თამილა სურგულაძე; შვილიშვილები კახა, შორენა; სიძე ზაზა ხალვაში; შვილთაშვილი ნინი; უახლოესი ნათესავები იუწყებიან **ეთერ ვარლამის ასული ჟორდანიას** გარდაცვალებას.

დაიკრძალა 16.02. ქ. ოზურგეთი (ექადია).

სააქციო საზოგადოება „იმედის“კოლექტივი იუწყება აქციონერის **გივი გუბელიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე